

ახალი თაობა

akhalitaoba.ge



33.4
თანგი ღინაშინა:
საქართველოსთან რუსები დათმობაზე არ ნამოვლან

15 პარტიდან
100 ამბავი
მსოფლიო მონარქები

ფასი
გაზეთთან ერთად
8 ლარი

100
გაზეთი
მსოფლიო მონარქები

ორშაბათი, 19 მარტი, 2018

№65 (7610)

ფასი: 50 თეთრი

„კვირიკაშვილის ნასვლა გარდაუვალია“



33.3



სოსო ცინცაძე: „კალაძემ მერობა თუ ჩააფლავა, მისი კარიერა დასრულდება“

ბათუმში ღავით აღმაშენებლის დიდი კაგლი დაიდგება

სანდრო ბრეგაძე:
„ვერავინ გვიკარნახებს, სად რა ძეგლს დავდგამთ და რომელ დღესასწაულს აღვნიშნავთ“



33.2



„ხელისუფლება თანახმაა, სამაჩაბლო რუსეთმა მიიერთოს“

ბეჟან ნათელაშვილი:
„დაისაჯოს ყველა, ვინც ტერმინ სამხრეთ ოსეთს ახსენებს!“



33.4

ნიკა გვარამია:
„მამა გიორგი მამალაქას თუ არ გაათავისუფლებან, სკანდალურ ინფორმაციებს გავსაჯაროებ“

33.2

სამართალი 33.7

„ოჯახში, ფაქტობრივად, არავინ ღარჩა“

ვინ იყო ოჯახი, რომელიც სამტრედიის საზარელ ავარიას ემსხვერპლა



ქმეზ ბრიგორიანებს წინასწარი პატივსაცემი შეეფარდა

თელავის სასლში გაუჩინა აუთიტა



აკოსოვია 33.6



პირველი ქართული ველოსიპედი გაზარდა ივლისში გამოჩნდა



ვინ შეიძლება მოხვდეს ივანიშვილის ბარდა საქართველოდან „ფორბსის“ მილიარდერთა სიაში



სად რამდენს იხდიან პარკინგში



10 სკრიალის საქმის გამო მსოფლიოში მოსალოდნელია ესკალაციის ზრდა

3 საქართველოს საგარეო უწყება ოქუპირებულ ტერიტორიაზე რუსეთის საარაზღვანო არჩევნებს გამოხ

3 ღავით უსუფაშვილი: „წყალი კალიან სერიოზულად არის ამღვრეული და თუვის დაჭრას გავრი ცდილობს“


8 რუსეთმა 23 ბრიტანელი დიპლომატი ქვეყნიდან გააძევა



ნიკა გვარამია: „მამა გიორგი მამალაქის თუ არ გაათავისუფლებენ, სკანდალურ ინფორმაციას გავასაჯაროებ“

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საკმე სულ უფრო და უფრო სკანდალური ხდება. მასში ნიკა გვარამიას ჩართვის შემდეგ კი კიდევ უფრო სერიოზულ სკანდალებს უნდა ველოდოთ. მოგვხსენებათ, რომ რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი გასულ კვირას შეუდგა დეკანოზ გიორგი მამალაქის უფლებების დაცვას. მან პატიმრობაში მყოფი დეკანოზი 13 მარტს მონახულა და იმავე დღეს განაცხადა, რომ მამა გიორგისგან ბევრი სკანდალური ინფორმაცია მოისმინა და მათი



„დეკანოზმა გაშიფრა კორუფციული სქემები, რომლებშიც მაღალი იერარქიის სასულიერო პირები მონაწილეობენ“

გასაჯაროების პირობაც დადო. ამ განცხადებიდან 2 დღის შემდეგ ის უკვე საქართველოს პატრიარქს შეხვდა.

ამ შეხვედრამდე ერთი დღით ადრე კი საპატრიარქოში გაავრცელა განცხადება, სადაც ეკლესიაზე შეტყუების ახალი ტალღის დაწყებაზე იყო საუბარი.

პატრიარქისა და ნიკა გვარამიას შეხვედრის შესახებ ინფორმაცია მედიაში 16 მარტს გავრცელდა. საპატრიარქოში ოფიციალური განმარტების გაცემა მხოლოდ 17 მარტს ისურვა, ისიც მას შემდეგ, რაც რუსთავი 2-მა დააანონსა, რომ შეხვედრის დეტალებზე გვარამია შაბათის კურიერში ისაუბრებდა.

ან. 15 მარტს, ხუთშაბათს, შედგა რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის, ბ-ნი ნიკოლოზ (ნიკა) გვარამიას შეხვედრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან. სამწუხაროდ, იმ დღესვე გავ-

რცელდა და შაბათის კურიერის „პრო-მოშიც“ გამეორდა აზრი იმის შესახებ, თითქოს ეს შეხვედრა მოხდა მისი უწმინდესობის, ილია II-ის ინიციატივით, რაც არასწორია.

ბ-ნმა ნიკოლოზ (ნიკა) გვარამიამ თვითონ ითხოვა კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრა, შუამავლობა კი გასწავლა მისმა მალაქოვლადუსამღვდელოესობამ, მიტროპოლიტმა ვახტანგმა (ახვლედიანი). ამას ადასტურებენ მეუფე ვახტანგიც და კათოლიკოს-პატრიარქიც.

შევნიშნავთ იმასაც, რომ ბ-ნი ნ. გვარამიას მოსვლის მიზანი იყო, ეთქვა მისი უწმინდესობისათვის, რომ სურდა ეთხოვა საქართველოს პრეზიდენტისთვის დეკანოზ გიორგი მამალაქის შეწყალების შესახებ, რადგან მას, როგორც იურისტს, მიანჩნია, რომ დეკანოზი ამას იმსახურებს.

კათოლიკოს-პატრიარქმა უპასუხა, რომ მას მამა გიორგის დაჭერა არ მოუსურრებია და საქმის საგამოძიებო დეტალებიც არ იცის, ამდენად,

მისი (ანუ ნ. გვარამიას) ნებაა, თუ როგორ იმოქმედებს.

პ.ს. რომ არა კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრის შესახებ გაუფრთხილებელი არასწორი ინფორმაცია, ეს განმარტება არ გაკეთდებოდა, – ვკითხულობთ საპატრიარქოს განცხადებაში.

უწმინდესთან შეხვედრის სურვილი არაერთხელ გამოთქვეს დეკანოზის სხვა ადვოკატებმა. საპატრიარქოში ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ისინი უწმინდესს არ შეხვედროდნენ.

– არ მოგვეცა საშუალება, პატრიარქისთვის გვეთქვა სიმართლე ჩვენ შეხვედრის სინოდის წევრებს, სადაც საკმაოდ მძიმე საუბარი გვექონდა, – აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბარში ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა.

ის მამა გიორგის ადვოკატებიდან ერთადერთი იყო, ვინც პროკურატურას გაუთქმელობაზე არ მოუწერა ხელი. გაუთქმელობაზე ხელის მოწერას არც ნიკა გვარამია აპირებს. მეტიც, ის სკანდალური ფაქტების გასა-

ჯაროების პირობას დებს და ამბობს, რომ ეს პროცესი არის პოლიტიკური, ამიტომაც პასუხი იქნება პოლიტიკური.

ნიკა გვარამიას განცხადებით, თუ დეკანოზ გიორგი მამალაქის პატიმრობიდან არ გაათავისუფლებენ, საეკლესიო გადაცდომებთან დაკავშირებით მის მიერ გამოკვლეულ ინფორმაციას გაასაჯაროებენ.

– ამ ადამიანმა გამოაშკარავა საეკლესიო გადაცდომები. ეს ჩვენ, საერო ხალხს, არ გვაინტერესებს, მაგრამ, რადგან ეს ადამიანი საერო პასუხისგებაში მიეცა და გამოათორის ძალის საერო სივრცეში, მაშინ პასუხიც იქნება საერო სივრცეში. ჩვენ დავინტერესდებით მის მიერ მოკვლეული ყველა ინფორმაციის გასაჯაროებას, ან ის გათავისუფლებული იქნება კანონიერად, ის ტყუილად იხდის სასჯელს, უკან დაბრუნდება საეკლესიო წიაღში და იქ მოხდება საერო პროცედურებით

ამ ყველაფერთან დაკავშირებით მსჯელობა, ან, თუ რჩება საერო პატიმრობაში, მაშინ მსჯელობა საერო წიაღში გაგრძელდება, – განაცხადა შაბათის „კურიერში“ ნიკა გვარამიამ.

მისივე თქმით, დეკანოზმა ფინანსური სქემები გაშიფრა და ამ სქემის მონაწილეები ეკლესიის მაღალჩინოსნები არიან.

– ეკლესიის მაღალჩინოსნები ნამდვილად არიან დასახლებული, არავითარ პირად ცხოვრებაზე იქ საუბარი არ ყოფილა. უბრალოდ, სირცხვილია. ეს ადამიანი იქ ზის იმიტომ, რომ გაშიფრა მაღალი ეკლესიური თანამდებობის პირების მიერ ეკლესიის ქონების დატაცება და ამის უტყუარ საბუთები აქვს, – ამბობს გვარამია.

მან პატრიარქთან გამართული შეხვედრის დეტალებზეც ისაუბრა. გვარამიას თქმით, ილია II-მ არ იცის, თუ რა მიზეზით არ შეინყალა დეკანოზი მამალაქე გიორგი მარგველაშვილმა.

– მან მითხრა, არ ვიცი ბოლომდე ეს საკმე იმიტომ, რომ ბევრი ახსნა და სიმართლე მივიღე, ბევრი პოზიცია მოვისმინე და მაინტერესებს, შენ რას ფიქრობ. მე ვუთხარი, დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანი უდანაშაულოა მეთქი. შემდეგ მომაცოცხლა, რატომ მგონია, რომ უდანაშაულოა. ვუთხარი, რომ ვაპირებ პრეზიდენტთან საუბარს, მისვლას, შეხვედრის თხოვნას და საუბარს დეკანოზ მამალაქის შეწყალებასთან დაკავშირებით.

მან მკითხა, ხომ არ იცი, რატომ არ არის ამდენი ხანი დეკანოზი შეწყალებული, რაზეც ვუთხარი, რომ არ მაქვს ინფორმაცია, მაგრამ ვაპირებ პრეზიდენტთან საუბარს. მითხრა, რომ, თუ მე დარწმუნებული ვარ ჩემს პოზიციაზე და ვთვლი საჭიროდ, რომ უნდა მივიღე ეს აუცილებლად უნდა გავაკეთო და მე ამას გავაკეთებ, – აღნიშნავს მამა გიორგის ახალი ადვოკატი.

შეწყალების თემაზე ნიკა გვარამია პრეზიდენტთანაც აპირებს შეხვედრას.

გათუგნილი ღვინო ალკოჰოლის დიდი კაზი დაიგეგმა

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქართული მარშის ლიდერი სანდრო ბრეგაძე პასუხობს.

– პატრონო სანდრო, ქართულმა მარშმა ბათუმის ქუჩებში გადაინაცვლა. ასევე შეხვედრა გქონდათ ბათუმის მერთან, სადაც შეთანხმდით, რომ ბათუმში დავით აღმაშენებლის ძეგლი დაიდგმება. რამე წინააღმდეგობას წააწყდით ამასთან დაკავშირებით?

– ბათუმის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე ის მცირე გამოჩენილია ქართველი ჩინოვნიკებიდან, რომლებიც აზროვნებენ პატრიოტულად და ეროვნულად. მათაც ზუსტად ის პოზიცია აღმოაჩნდათ, რომელიც ჰქონდა ქართულ მარშს, რომ აუცილებელია, ქალაქ ბათუმში დაიდგას დავით აღმაშენებლის ძეგლი. ჩვენ არა ვართ ჩასაფრებულები და ამიტომ მინდა, კმაყოფილებით აღვნიშნო ის ურთიერთობა, რომელიც იმ წუთში ჩამოგვიყალიბდა და გაანეიტრალა სიტუაცია.

– დაძაბული ვითარება შეიქმნა?

– დიას, რადგან ძალიან ბევრი ბათუმელი ახალგაზრდა მზად იყო, მიემართა რადიკალური ზომებისათვის, რათა დადებითად გადაწყვეტილიყო ეს საკითხი. თუმცა ეს საჭირო არ გახდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას აღმოაჩნდა ის პატრიოტული სულიკვეთება და პოლიტიკური ნება, რომელმაც აბსოლუტურად მშვიდობიანად და ნორმალურ ფარგლებში გადაწყვიტა ეს საკითხი. კარგი იქნება, რომ სხვაგანაც ასე იყოს და არ

სანდრო ბრეგაძე: „ვერაინ გვიკარნახებს, სად რა ძეგლს დავდგამთ და რომელ დღესასწაულს აღვნიშნავთ“

იყვნენ შეშინებული ქართველი ჩინოვნიკები იმით, ვინ, რომელი უცხო ქვეყანა რას იტყვის. მათაც გადაწყვიტონ ეროვნული პრობლემები ისე, როგორც ბათუმში გადაწყდა.

– რაზე შეთანხმდით, როდის დაიდგმება ძეგლი?

– შეთანხმება იყო, რომ უახლოეს ხანებში მოხდება შესაბამისი პროცედურების გავლა საკრებულოში და შემდგომში მოხდება ადგილის გამოყოფა თვითონ ძეგლისთვის. ეს ალბათ ერთი თვის ვადას არ გადაცდება. ძეგლს კი დადგამს საქართველოს მოსახლეობა იმ შემთხვევაში, რომელიც აუცილებლად იქნება. ადგილობრივი ხელისუფლებაც დაგვეხმარება ამაში. ეს იქნება საკმაოდ დიდი ქანდაკება, იმაზე დიდი, ვიდრე თბილისშია.

– ვინ იქნება აღნიშნული ქანდაკების ავტორი?

– კონკურსის შედეგად გადაწყდება ეს ყველაფერი. თუმცა უცხოეთში მოღვაწე რამდენიმე ცნობილი ქართველი მოქანდაკე მზად არის, უსასყიდლოდ დაამზადოს ქანდაკება.

– რატომ გადაწყდა ბათუმში აღმაშენებლის ძეგლის დადგმა? და საერთოდ ამ პროცესამდე როგორ მიხვედით?

– პირველ რიგში, მინდა ვუთხრა ნებისმი-



ერ უცხო ქვეყანას, საქართველოში ვერაინ გვიკარნახებს, სად რა მონუმენტურ ქანდაკებას დავდგამთ, ისევე, როგორც ჩვენ არ ვერვით, მათ ტერიტორიაზე რა მოხდება, ასევე მათ არა აქვთ უფლება, გვიკარნახონ, რომელ დღესასწაულს აღვნიშნავთ და რომელ ადგილას რა ქანდაკებას დავდგამთ. საქართველო არის სახელმწიფო და საკმაოდ ძლიერი. საქართველო და ქართველი ერი თავად გადაწყვეტს, დავით აღმაშენებლის ძეგლი სად დაიდგმება.

– იყო წინააღმდეგობები ბათუმში? იქ საკმაოდ ბევრი თურქია.

– არ მინდა, კონკრეტულად ქვეყნები დავასახელო, თუმცა, შემძლია გითხრა, რომ წინააღმდეგობა იყო უცხო ქვეყნებიდან და ეს არ არის კარგი ფაქტი. ვიმეორებ, მეორედ და მესამედ თუ მოხდება საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა, ამაზე იქნება გაცილებით მკვახე პასუხი, ვიდრე ეს იყო ბათუმში, როდესაც ასობით ქართველმა ბათუმელმა ახალგაზრდამ მარშით გაიარა ბათუმის ქუჩებში და ყველას აჩვენა, ვინ არის ქვეყნის პატრონ-პატრონი.

არავინ გაბედავს, მიგვითითოს ჩვენ, რომ თუნდაც დიდგორობის დღესასწაული სად და როგორ უნდა აღვნიშნოთ. ჩვენ შეგვწყევს იმის ძალა და უნარი, ჩვენ ქვეყნის ინტერესები იმაზე კარგად დავიცავთ, ვიდრე ეს ვინმეს ჰგონია.

– იყო რამე ინციდენტი?

– რა თქმა უნდა, აბა მე გიუი ხომ არ ვარ, რომ ჰაერზე დავიწყო ფრაზების სროლა. დიას, იყო მსგავსი რამ. გეტყვით, რომ საკმაოდ ცუდი ინციდენტებიც იყო ამასთან დაკავშირებით.

– კერძოდ?

– წინააღმდეგობები იყო უცხო ქვეყნიდან, ეს დღესასწაული არ უნდა აღვნიშნოთ, იქ ძეგლი არ უნდა დადგათ და ასე შემდეგ. ვინ ეკითხებათ და როგორ ბედავენ საერთოდ, რომ ქართველებს მიგვითითებენ, დიდი დავით აღმაშენებლის ძეგლი სად იდგება, ან დიდგორობას აღვნიშნავთ თუ არა. მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, ნუ იქნებიან დაშინებული ნურავის მიერ! ჩვენ ვართ თავმოყვარე ერი და სახელმწიფო. დღეს ქართული მარში ასრულებს იმ დავალებებს, რომლებსაც ქართველი ხალხისგან იღებს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

დამფუძნებლები: ნინო ბაგრაძე, ზურაბ ბერიძე, სოხო გოგინაშვილი
 მთავარი რედაქტორი – სოხო გოგინაშვილი
 რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
 რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

განთი
 გამოდის
 1993 წლის
 23 ივლისიდან

კონსულტანტები
 ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
 საინჟინრო სამსახური – ჯორა ბაღვაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
 გაფრთხილების სამსახური – მერაბ ლევინაშვილი
 დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკავალდება – ინგა დვალისვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქიქაძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
 ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
 ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
 რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგონირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე განთავსებული მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიებში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



ქმეზ ბრიგორიანეზს წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ



სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული ქმეზ ბრიგორიანეზი თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასწარ პატიმრობაში დატოვა. სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილება მოსამართლემ 17 მარტს ღამით მიიღო. გრიგორიანეზს დიდი ოდენობით თანხის გამოძალაში აღაპაშალებენ. ბრალდების მტკიცებით, საქმეში მოწმეთა ჩვენებებთან ერთად დანაშაულის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულებებიც არსებობს.

დაცვის მხარე პროცესზე გრიგორიანეზის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდა, რაც არ დაკმაყოფილდა. 15 მარტს თბილისში სპეცოპერაცია ჩატარდა – სამართალდამცავებმა ისანსა და აეროპორტის გზატკეცილზე ორი პირი დააკავეს – კრიმინალური ავტორიტეტი, არმაიზ გრიგორიანი, იგივე „მაისა“ და მისი ძმა. ერთ-ერთი ვერსიით, დაკავებულები ერთ-ერთ პირს 10 ათას დოლარს სძალადენენ. არმაიზ გრიგორიანი, იგივე „მაისა“, წლების განმავლობაში სასჯელს იხდიდა და გარკვეული პერიოდი ე.წ. მაყურებელიც იყო.

„ოჯახში, ფაქტობრივად, არააინ დარჩა“



ვინ იყო ოჯახი, რომელიც სამტრედიის საზარელ ავარიას ემსხვერპლა სამტრედიის 15 მარტს მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ოჯახის 3 წევრი ემსხვერპლა. ერთმანეთს „მერსედის“ მარკის ავტომობილი, ჯიპი და „ოპელი“ შეეჯახნენ. სწორედ „ოპელის“ მარკის ავტომობილში იმყოფებოდა პაქსაძეების ოჯახის 4 წევრი. მათგან 3 ადგილზე დაიღუპა, ერთი კი დაშავდა. პაქსაძეები მახინჯაურში ცხოვრობდნენ. შემთხვევა იმ დროს მოხდა, როდესაც ისინი იმერეთის ერთ-ერთი სოფლიდან სახლში ბრუნდებოდნენ.

გარდაცვლილები არიან პაქსაძეების რძალი თამუნა კერესელიძე, მისი მცირეწლოვანი შვილი ხატია პაქსაძე და დედამთლი. რაც შეეხება კერესელიძის მეუღლე გიორგი პაქსაძეს, ის საავადმყოფოშია გადაყვანილი. – უმძიმესი ამბავი მოხდა. ოჯახში, ფაქტობრივად, არააინ დარჩა, მხოლოდ ერთი წევრი, გარდაცვლილი ბავშვის მამა, რომელიც მახინჯაურში ცხოვრობს. რამდენიმე თვის წინ ამავე ოჯახში ბავშვის ბაბუაც გარდაიცვალა. გარდაცვლილები იმერეთში, ნათესავებთან იმყოფებოდნენ და ავტოსაგზაო შემთხვევა იმ დროს მოხდა, როდესაც მახინჯაურში ბრუნდებოდნენ. გარდაცვლილი მცირეწლოვანი ბავშვი ბათუმის 26-ე ბაღის აღსაზრდელი იყო, – აცხადებენ პაქსაძეების ოჯახის ახლობლები.

ორსულ მუშაობა ქალაქოხსოვის გორში 1 პირი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტრო ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის თითოეულ ფაქტზე მყისიერ და კანონის ფარგლებში, შესაბამის რეაგირებას ახდენს. 2 მარტიდან დღემდე, პოლიციამ შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, გურჯისტანში და ქვემო ქართლში, ოჯახში ძალადობის ბრალდებით, 11 პირი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1988 წელს დაბადებული გ.წ., ოჯახში ძალადობისა და თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ბრალდებით, გორში დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 1 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ცოლს – 1988 დაბადებულ ნ.კ.-ს – სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შემდეგაც მან ყელისა და მჯავის არეში ბასრი საგნით დაზიანებები მიიყენა. ნ.კ. დაუყოვნებლივ იქნა გადაყვანილი გორის სამკურნალო დაწესებულებაში. ამ დროისთვის, მის ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ოჯახში ძალადობისა და თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ფაქტებზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით და 115-ე მუხლით. სამართალდამცველებმა გორში კიდევ ერთი ოჯახში მოძალადე – 1991 წელს დაბადებული გ.ქ. დააკავეს, რომელმაც ორსულ მეუღლეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 1-დან 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიება ოჯახის ერთი წევრის მიერ წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტზე მიმდინარეობს.

უსს-მ კასპში დააკავეს ავტოავარიის ბრალდებული, რომელმაც მოგონა იმსხვერპლა



შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის კასპის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული ი.კ. ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის ბრალდებით დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 4 იანვარს ქალაქ კასპში თავისი კუთვნილი ავტომანქანით მოძრაობდა, როდესაც 2008 წელს დაბადებულ ქვეითად მოსიარულე მ.გ.-ს შეეჯახა. არასრულწლოვანი გოგონა ადგილზე გარდაიცვალა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო, ტრასოლოგიური, ავტოტექნიკური, ტოქსიკოლოგიური და სხვა სახის ექსპერტიზები. გამოძიებამ დაადგინა ი.კ.-ს ბრალდებულობა. პოლიციამ იგი სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავეს. გამოძიება ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის ფაქტზე მიმდინარეობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით.

ავტოავარიის რაიონში ავარიას 2 ადამიანი იმსხვერპლა

ავტოავარიის რაიონის სოფელ მუხლთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ორი ადამიანი გარდაიცვალა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ადგილობრივებმა განუცხადეს, დიდი სისწრაფით მიმავალი ავტომანქანა ბორდიურს შეეჯახა და ცეცხლი გაუჩნდა. მათივე ინფორმაციით, მძღოლიც და მის გვერდით მჯდომი მამაკაციც ადგილზე გარდაიცვალნენ. ადგილზე სასწრაფო, სამაშველო და საპატრულო სამსახურები იყვნენ მოიხილებული. შემთხვევა 18 მარტს, დილით, მოხდა.



თელავის სახლში გაუჩინა ავთიქა

თელავში, საცხოვრებელი სახლის სანაწილში რკინის შედეგების დროს ბუნებრივი აირის აფეთქების შედეგად ორი, 60 და 40 წლამდე ასაკის მამაკაცი მძიმედ დაშავდა. გაგრძელებული ინფორმაციით, შენობაში ბუნებრივი აირი დაგროვდა, რამაც ძლიერი აფეთქება გამოიწვია. ორივე დაშავებული თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმის განცხადებით, პაციენტებს ძლიერი დამწვრობა აღენიშნებათ და შემდგომი მკურნალობისთვის მათ თბილისში, დამწვრობის ცენტრში გადაიყვანენ. უსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლით დაიწყო.



ბირლიტან მძღოლმა მანქანა ოკროს ააფილა და ხსნა შეჯახა – 1 ადამიანი დაიღუპა

მსხვერპლით დასრულდა ავტოსაგზაო შემთხვევა რუსთავი-გარდაბნის გზაზე. სოფელ ბირლიტან მომხდარი ავარიის შედეგად 30 წლის მამაკაცი ადგილზე დაიღუპა, მძღოლი კი, 23 წლის მამაკაცი, მსუბუქი დაზიანებებით გარდაბანში „ჯეო ჰოსპიტალში“ გადაიყვანეს. გარდაცვლილის ახლობელი ავარიის გამოწვევებზე მიზეზად მოუწესრიგებენ საგზაო ინფრასტრუქტურას ასახელებს და აცხადებს, რომ მონაკვეთზე სადაც უბედური შემთხვევა მოხდა, დიდი ორმოებია, სწორედ მას ააცილა მძღოლმა, რის შემდეგაც საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხსნ შეეჯახა. თვითმხილველების განცხადებით, მერსედისის მარკის ავტომობილი, რომელიც ხსნ შეეჯახა, ხორცპროდუქტების კომპანიას ეკუთვნის. უსს-ში აცხადებენ, რომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.



თბილისი-რუსთავის ტრასაზე ერთმანეთს 4 მანქანა შეჯახა და ყვითელი მიკროავტობუსი გზიდან გადავიდა

17 მარტს, დილით, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალზე. რუსთავის მონაკვეთზე ერთმანეთს 4 ავტომობილი შეეჯახა. მათ შორის იყო ფორდის მარკის მიკროავტობუსი, ორი ნისანის და ერთი ჰონდას მარკის ავტომობილები. შეჯახების დროს ყვითელი მიკროავტობუსი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა. ადგილზე მოიხილებული იყო საპატრულო პოლიცია. ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მიკროავტობუსში 5 მგზავრი იმყოფებოდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.



სპირტან მატარებელი მიკროავტობუსს დაეჯახა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ სვირის გადასასხვევთან მატარებელი სამგზავრო მიკროავტობუსს დაეჯახა. შემთხვევის შედეგად მიკროავტობუსის მძღოლი და მგზავრები დაშავდნენ, რომლებიც ზესტაფონის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ადგილობრივების ინფორმაციით, მიკროავტობუსის მძღოლი შეუძლოდ გახდა, რის გამოც საჭე ვერ დაიმორჩილა, ჩაკეტილ შლაგბაუმს შეეჯახა და ლიანდაგებზე გადავიდა, ამის შემდეგ კი გაჩერებულ მიკროავტობუსს მატარებელი დაეჯახა. „საქართველოს რკინიგზაში“ აცხადებენ, რომ მოძრაობის წესები მიკროავტობუსის მძღოლმა დაარღვია, რის გამოც აღნიშნული ფაქტი მოხდა. სამგზავრო მიკროავტობუსისა და მატარებლის შეჯახების შედეგად ერთ-ერთი დაშავებული, მიკროავტობუსის მძღოლი, საავადმყოფოში გარდაიცვალა.



სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩინთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

გემურნალობა: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტის; 5. ფრონტიტის; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწილებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭყებებს; 17. განვეკურნავ ყივებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს. მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები. მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ფარშევანგები თანამოძმის გამტაცებელს გამოეციდნენ

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ მაიაში ფარშევანგები გამოეციდნენ მამაკაცს, რომელმაც ფარშევანგი გაიტაცა.



სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა, თუ როგორ დასდევდა წითელ მაისურში გამოწყობილი მამაკაცი ფარშევანგს, შემდეგ დაიჭირა და ავტომობილისკენ გაიქცა, უკან კი სხვა ფარშევანგები მისდევდნენ, თუმცა მან მდევრისგან თავის დაღწევა და ნადავლთან ერთად მიმალვა მოახერხა. ადგილობრივებმა, რომლებსაც პოლიციამ მიმართა, ფარშევანგის გამტაცებელი ვერ ამოიცნეს.

ეს. მეზობლები ამტკიცებენ, რომ ისინი აღშფოთებულნი არიან მომხდარით, მიუხედავად იმისა, რომ მათი მათ რაიონში ბინადარი ფარშევანგების მიმართ დამოკიდებულება ნეგატიურია.

– ისინი თავისტივილად იქცნენ, მაგრამ ასეთი საქციელი აღმავლობებელია, – განაცხადა ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა.

ჩინელი მობილური ტელეფონით თამაშს შეენირა



ექსპურსიის დროს ჩინელი ტელეფონით თამაშით გაერთო, რვა მეტრის სიმალიდან გადავარდა და დაიღუპა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ახალგაზრდა მამაკაცი ექსპურსიაზე მამასთან ერთად ბუდისტებისთვის წმინდა მთა ცზიუსუაშანზე იმყოფებოდა, რომელიც ანხოს პროვინციაში მდებარეობს. ღირსშესანიშნაობის დათვალერებით დაღლილი ახალგაზრდა შემოჯდა ლობის მოაჯირზე, რომელიც ადამიანების სიმალიდან გადავარდნის თავიდან ასაცილებლად იქნა დაყენებული. მან ტელეფონში ჩანერილი ერთ-ერთი თამაში ჩართო და ისე გაიტაცა თამაშმა, რომ დაავიწყდა, მოაჯირზე რომ იყო შემოქმედარი, საბურვეზე მისაყრდნობა უკან გადაიხარა და ქვევით გადავარდა.

ახალგაზრდამ რვა მეტრი იფრინა და კიბეზე დაეცა, შემდეგ კი ქვევით დაგორდა. მისი გადავარდნის მომენტი სათვალთვალო ვიდეოკამერამ დააფიქსირა. ახალგაზრდა ტურისტის ადგილზე დაიღუპა.

ამერიკელი ქალი შვილზე დაქორწინდა და ციხეში აღმოჩნდა

ამერიკელი ქალბატონს ორი წლით პატიმრობა მიესაჯა საკუთარ ქალიშვილზე დაქორწინებისთვის, იტყობინება ნიუ-იორკ პოსტი.




46 წლის პატრიისა სპენმა და მისმა 26 წლის ქალიშვილმა მისტი სპენმა ერთსქესიანთა ქორწინება 2016 წლის მარტში გააფორმეს, მაშინვე, როგორც კი ასეთი კავშირების ლეგალიზება მოხდა ოკლაჰომას შტატში. მანამდე კი მისტი სპენმა გვარი შეიცვალა და კლიტონი გახდა.

როგორც კი გვარის შეცვლის შესახებ ცნობილი გახდა ერთ-ერთი სახელმწიფო მოხელისთვის, ამ საქმით პოლიცია დაინტერესდა. ქორწინება 2017 წლის ოქტომბერში იქნა გაუქმებული. სასამართლომ დედისა და შვილის ქორწინება ინცესტად ცნო.

გამოცემა აღნიშნავს, რომ პატრიისა სპენს დედობის უფლება მრავალი წლის წინ ჩამოერთვა: სამეურვეო ორგანოებმა მას ქალიშვილი და ორი ბიჭი ჩამოართვეს. გამოძიებით გაირკვა, რომ ქალმა ქორწინება 2010 წელს თავის ბიჭთანაც გააფორმა, მაგრამ ის იმავე წელს შვილის ინიციატივით იქნა გაუქმებული.

მოამზადა კანა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განსხვავებები



ბაქა!

მხოლოდ ოცდაშვიდი წელი იქმარე, რომ კაცურად გეცხოვრა. იმ ავბედითმა დღემ განსაზღვრა უამრბი შენი სიცოცხლისა. ბედისწერას ვერ გაექცი. იმიტომაც ცხოვრობდი ალბათ ასე სისხლსავსე ცხოვრებით. ყველაფერი გინდოდა მოგესწრო. აკი, მოასწარი კიდეც, თვით სიკვდილიც კი. თუ საზღვროა ჩემი ტკივილი. თურმე რამდენი შემძლებია... დრო ვერ კურნავს ერთადერთი შვილის სიკვდილით დაფლეთილ დედის გულს.

ვერ შევეჩვიე უშენობას. ყველგან თან დამდევს შენი სახე, შენი ლიმილი, ფეხის ხმა!.. მუდამ ჩემთან ხარ! ნათელი გეფინოს მარადიულ სასუფეველში, ჩემო სულის ტკივილი!

დედა

სამგლოვიარო განსხვავებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ექიმის რჩევა ბავშვს სიცოცხლედ დაუჯდა

ამერიკელი მონარდი ექიმების რჩევიდან „ორგანიზმს საშუალება მიეცეთ, შეებრძოლოს ვირუსს“, რომლებმაც სინუსიტი დაუდგინეს, რამდენიმე კვირაში გარდაიცვალა.

13 წლის მარკელ ბრამლი საავადმყოფოში თავის ტკივილების ჩივილითა და გაციების სიმპტომებით მოხვდა. ის სახლში გაუშვეს და ურჩიეს, რომ ორგანიზმისთვის ავადმყოფობასთან თავად გამკლავების საშუალება მიეცა. დიდი ხნის განმავლობაში თავის ტკივილები არ შეწყვეტილა და მის მშობლებს რამდენჯერმე მოუხდათ სასწრაფო დახმარების გამოძახება.

ბავშვის მორიგი საგანგებო ჰოსპიტალიზაციის შემდეგ მას თავის ტომოგრაფია გაუკეთდა, რომელმაც




აჩვენა, რომ ინფექცია ტვინზე იყო გავრცელებული. ბრამლის ოპერაცია გაუკეთდა, მაგრამ, იმის გამო, რომ მკურნალობა დროზე არ ჩაუტარდა, იგი კომაში ჩავარდა.

გარკვეული დროის შემდეგ ბავშვი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ამერიკელმა მოარშიყე ხანდაზმული მამაკაცი ჰანტელის ცემით მოკლა

ამერიკელმა მამაკაცმა ჰანტელის ცემით მოკლა ხანდაზმული მამაკაცი, რომელიც მას ეარშიყებოდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.



ინციდენტი ნიუ იორკის ბრუკლინის რაიონში ღამით მოხდა. 60 წლის კლიფორდ უილიამსმა 21 წლის ახალგაზრდა სწრაფი კვების რესტორანთან გაიცნო. მათ ისაუბრეს და უილიამსმა ახალგაზრდა მამაკაცი სახლში მიიპატიჟა, მაგრამ, როდესაც ასაკოვანმა მამაკაცმა სტუმარს ხელების ფაფურით დაუწყო, ახალგაზრდა გაბრაზდა და თავში რამდენჯერმე ჩასცხო ჰანტელი.

ბინაში ასევე იმყოფებოდა დაზარალებულის ერთ-ერთი ნათესავი. დაახლოებით ღამის ორ საათზე მას ჩხუბის ხმა მოესმა, ხოლო ოთახში შესულს უილიამსი უგონო მდგომარეობაში დახვდა და პოლიცია გამოიძახა. მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

ერთ-ერთი ნიუიორკული ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში უილიამსის მეზობლებმა აღნიშნეს, რომ მომხდარით ძალზე გაოცებულნი არიან, ვინაიდან მამაკაცი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა და ერთხელაც არ შეუნიშნავთ, რომ მასთან ვინმე მისულებოდა სტუმრად.

უილიამსის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დაკავებულია. მისი ვინაობა არ სახელდება.

მოამზადა კანა ხატიაშვილმა

გიორგი ყიფშიძე: პაქითოთ სიკითა!

მსახიობი გიორგი ყიფშიძე თანამემამულეებს ყოველდღიური სიკეთის კეთებისკენ მოუწოდებს. მას სჯერა, რომ ამით ჩვენს ქვეყანაში მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება:

– აი, მაგალითად, ყოველდღე სათითაოდ დავენე-როთ ხოლმე, თუ რა სიკეთე გავაკეთეთ დღეს, თუნდაც პატარა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო, მაგრამ შენ რომ უფრო კმაყოფილი ნაბიჯით გააგრძელებ სიარულს. მაგალითად, ვიღაცის დაგდებულ ნაგავს, სიგარეტის კოლოფს აიღებ და ნაგავში ჩააგდებ და მორჩა. რთულია? არა, ხო?! და როგორი სასიამოვნოა?! ყველამ ცოტა-ცოტა ვენათ და გვეშველება ბო... ვიყო!



ნინი შერაღინა „ყვავილების ქვეყანა“

სომხურად იმღერა

მომღერალმა ნინი შერაღინამ სომეხ კოლეგა ანდრესთან ერთად ცნობილი ქართული სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“ დუეტში სომხურად იმღერა.

დუეტში მომღერლებმა ვიდუროვლიც გადაიღეს და ინტერნეტში განათავსეს. სიმღერამ და კლიპმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ნინი და ანდრე პირველად არ თანამშრომლობენ. ისინი ერთმანეთს რამდენიმე წლის წინ მუსიკალური გადაცემის ჩანერაზე შეხვდნენ და მაშინაც სომხურენოვანი ერთობლივი დუეტი ჩანერეს, რომელმაც ასევე დიდი მოწონება დაიმსახურა და პოპულარობა მოიპოვა.



ოთო ნემსაქე მუხუარაზულს ხელი სთხოვა

მომღერალმა ოთო ნემსაქემ შეყვარებულს ხელი სთხოვა. მსახიობ სოფო მექმარიაშვილს მან მეგობრებთან ერთად ორიგინალური სიურპრიზი მოუწყო და მის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი წუთები უახლოეს ადამიანებთან ერთად გაიზიარა.

ოთომ სოფოს თვალები აუხვია და იმ ადგილას მიიყვანა, სადაც მეგობრები ელოდნენ, თუმცა გარშემო ისეთი სიჩუმე სუფევდა, სოფოს არ უფიქრია, თუ იქ ამდენი ადამიანი იქნებოდა. სპეციალურად მონყობილი სცენის უკანა კედელზე სოფოსა და ოთოს გრაფიტი იყო შესრულებული. ოთომ სოფო სწორედ ამ გრაფიტის წინ დააყენა და თვალებიდან სახვევი მოხსნა. უკან მობრუნებულ სოფოს დაჩოქილი ოთო დახვდა ვარდების ულამაზესი თაიგულითა და ნიშნობის ბეჭდით. სოფომ საყვარელ ადამიანს თანხმობა განუცხადა. მათი ბედნიერება მეგობრების ურჩაუღმა და ულამაზესმა ფეიერვერკებმა დააგვირგვინა.

ოთო ნემსაქე:

– დიდი მადლობა თქვენ ყველას. თქვენი დიდი ძალისხმევით შევქმენით გუშინდელი დღე. მადლობა ყველა ჩემსა და სოფოს მეგობარს. თქვენთან საქვეყნო ვალში ვარ, მეგობრობაშიც და სიყვარულშიც. ყველა გვიყვარხართ და კიდევ ერთხელ მადლობა. ყოველთვის თქვენი სოფო და ოთო.



დეა ადამია ქურდების მსხვერპლი გახდა

ტელეჟურნალის დეა ადამია ქურდების მსხვერპლი გახდა. უკრაინაში მისი მამის სახლი ქართველებმა გაქურდეს.

დეა ადამია: – იცნობდეთ ამ ნაბიჭვრებს უკრაინაში... რომლებმაც მამაჩემის ბინა გაძარცვეს კიევი და ცალკე 250.000 დოლარი მიითვისეს...! ვინმე სოსო ლადო ჩხაპელია და მისი პადელინიც ცოლი ნანა ჭანია! და არა მხოლოდ ცოლი, არამედ შვილებიც! ლოლიტა და ლინდა ჩხაპელიები.



არ გვინდა ელტონ ჯონი!

ამ განცხადებას ერეკლე მეორის საზოგადოება ავრცელებს და მსოფლიო ვარსკვლავის საქართველოში ჩამოყვანისთვის გამოყოფილი თანხით კუმისში არაბებისგან მინის გამოსყიდვის ინიციატივით გამოდიან:

– ელტონ ჯონის ჩამოყვანა საქართველოს ბიუჯეტს უჯდება 3.5 მილიონი დოლარი. არაბები მზად არიან, კუმისში 300 ჰექტარი მიწა, რომელიც სახელმწიფომ მიჰყიდა, დაუბრუნონ ქართველებს 500.000 დოლარად. არ გვინდა ელტონ ჯონი, დავუბრუნოთ ქართველ ხალხს მამაპაპეული მიწები.



მოამზადა ეკა ირემაშვილმა

